ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01231992135**
თარიღი: **18/07/2023**

ადრესატი: შპს მოზაიკა დიდი დიღომი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405531027
მისამართი: თბილისი ფალიაშვილის 85 (ტელ: 595655505)

თქვენი 2023 წლის 17 ივლისის N10/01231982757-61 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) თანახმაა, სააგენტოს, ფ/პ ვარლამ ცეკვავასა (პ/ნ: 01805046066, შემდგომში - „ქონების გადამცემი“) და შპს „სითი კომფორტს“ (ს/ნ: 405026822, შემდგომში - „კომპანია“, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე უფლებამონაცვლე - შპს „მოზაიკა დიღომი“ (ს/ნ: 405531027)) შორის 2022 წლის 28 ივლისს გაფორმებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულება“) 2.2 პუნქტის შესაბამისად და ასევე, კორექტირებული პროექტის გათვალისწინებით, აღნიშნულ წერილში მითითებული შემდეგი უძრავი ნივთები:

- სართული 5, ბინა N50 - საერთო ფართობით 37.5 კვ.მ (აქედან: 32.7 კვ.მ - საცხოვრებელი ფართი და 4.8 კვ.მ - საზაფხულო ფართი, თეთრი კარკასის მდგომარეობაში);

- სართული 10, ბინა N121 - საერთო ფართობით 50.40 კვ.მ (აქედან: 46.8 კვ.მ - საცხოვრებელი ფართი და 3.6 კვ.მ - საზაფხულო ფართი, თეთრი კარკასის მდგომარეობაში);

- სართული 10, ბინა N125 - საერთო ფართობით 39.90 კვ.მ (აქედან: 34.9 კვ.მ - საცხოვრებელი ფართი და 5.0 კვ.მ - საზაფხულო ფართი, თეთრი კარკასის მდგომარეობაში);

(მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.72.14.035.963) საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდეს უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში (მათ შორის, რაიმე შეზღუდვის/აკრძალვის/ვალდებულებისაგან თავისუფალ მდგომარეობაში) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად.

გთხოვთ, წინამდებარე წერილის გაცნობიდან უმოკლეს ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა, სააგენტოში წარმოადგინოთ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების (ბინა N50, ბინა N121 და ბინა N125) ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, სადაც მესაკუთრედ დაფიქსირებული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.

პატივისცემით,

მარიამი კვერნაძე

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი